სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე შექმნა სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტრო.

ჯავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა ჯავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიით ამხ. ი. ჯ. კოტოლოვი გაათავისუფლა ჯავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ჯავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულია ამხ. კ. თ. ოჩიეკი, რომელიც მუშაობდა ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის სოფლის კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა. (საქინფორმი).

მეცნიერება და ტექნიკა: მთავარი მიმართულებებით

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. მას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაცია მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. აღინიშნა, რომ ამ პერიოდში შესრულდა და დაინერგა დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ნამუშევრები მეტალურგიის, სამთო საქმის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, გეოფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა დარგებში. სიინტერესო შედეგებია მიღებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის სფეროში. ზოგიერთი დადაგდების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები შემუშავეს რესპუბლიკის მეცნიერმა მედიცინამ. კომპლექსური შეფასება მიეცა ნედლეულის რესურსების პოტენციალის მთლიანად და რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით 2000 წლამდე და უფრო მოლეული პერსპექტივისათვის. შემუშავებულია წინადადებები მათი რაციონალური გამოყენების თაობაზე.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, მეცნიერმა თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სპეციალური კონსტრუქციების მისაღებად ფიზიკური ბალანსის ნაკლებად ან შენადნობებში შედეგების, დადეგენილია და თერმული ჭრის ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებაში, სხვა სახის კვლევა-ძიებაში.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში განხორციელდა პროგრესული ტექნოლოგიების, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის 180 ღონისძიება, რომლებიც უზრუველყოფენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომჭირნეობას, ათვისებელი ია დაახლოებით 150 დასახელების ახალი სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის — საერთო საკავშირო მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებული ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მანქანათმშენებელი პროდუქცია.' აგროსამრეწველო კომპლექსის დადამუშავებელმა დარგებმა ათვისეს მთელი რიგი ახალი სახეობის საკვები პროდუქტები: მატონაზეული სასმელები, წყენები, კონსერვები და ა. შ. გაფართოვდა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვის მასშტაბი.

საბჭოს სხდომის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ მიმდინარეობს ახალი რეზერვების ძიების აქტივიზაციის, მეცნიერების შედეგმი განვითარების არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროცესი და ამასთანავე ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის შეუსრულებლობის შემოთხვევებსა და მათს დაუშვებლობას მიმავალში.

საკოორდინაციო საბჭომ სამინისტროებისა და უწყებებს, გაერთიანებებისა და საწარმოებს ხელშეკრულებისა და საწარმოების ბოლომდე დარჩენილ დროში დარაზმონ შრომითი კოლექტივები ტექნიკურ სიახლეთა დანერგვასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ხელშეშყობა ყველა ღონისძიების უფუო შესრულებისათვის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა აღინიშნა, პარტიის ეკონომიკური სტრატეგია მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელებას, მის გადაყვანას განვითარების ინტენსიურ რელსებზე და საბჭოთა ეკონომიკის აყვანას ორგანიზაციისა და ეფექტიანობის მაღალ დონეზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსებითი დაჩქარების მეშვეობით.

საბჭომ მიზანშეწონილად ცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის წლიურ დავალებათა შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა მუდმივ კომისიათა წარმომადგენლებიც, სამინისტროების, საწარმოების კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები — საბჭოთა კომისიათა თავმჯდომარეები.

სხდომა გახსნა და მას უძღვებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სამეურნეო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი გ. ა. ანდრონიკაშვილი.

მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტისა და ეროვნული ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების შესაბამისად შემუშავებული გეგმა და ბიუჯეტი ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციას, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას.

სხდომაზე განისაზღვრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა მიერ 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1985 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის, აგრეთვე 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1984 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვის წესი და ვადები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა შემადგენლობიდან შექმნა თერმიტი მოსაზმადებელი კომისია, რომლებმაც შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წარმომადგენლებთან ერთად უნდა წარუდგინონ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას დასკვნები მათ შესახებ. შეიქმნა აგრეთვე ორი ქვეკომისია — დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და განაწილების ქვეკომისიები.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბ. ბ. ბ

სიტყვა ეძლევა... პერსონალურ კომპიუტერს

საქართველოს სახალხო მეურნეობის მოღწევათა გამოფენაზე გაიმართა გამოთვლითი ტექნიკა-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მონაწილეთა გამოსვლების ილუსტრირებას ახდენდნენ... პერსონალური კომპიუტერები. მიკროელექტრონულ- გამომთვლელი მანქანებით სპეციალისტები ამ ტიპის მანქანების შესაძლებლობებს უჩვენებდნენ შეხვედრის მონაწილეები — სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკებს, მეცნიერებს, მასწავლებლებს, წარმოების მუშაკებს. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში პერსონალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მასობრივი გამოშვება. მაგრამ, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტში გამართულ თათბირზე აღინიშნა, ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო გამოთვლითი ტექნიკის გადოდებაზე, არამედ სახალხო მეურნეობაში მის მარჯვე გამოყენებაზეც.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ახიხადაძემ. მან აღნიშნა, რომ დღეს, როცა მთავარი ყურადღება ეპყრობა ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის ძირითადი შედეგია კომპიუტერი ტექნიკის ბაზაზე წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის კომპლექსურ სისტემათა მასობრივი დანერგვა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თქვეს ორატორებმა, შექმნილია სხვადასხვა სფეროში მიკროპროცესორული ტექნიკის საშუალებათა გამოყენების გამოცდილება. შექმნილია მგეგმავის, ფინანსსისტის ავტომატიზებული სამუშაო ადგილები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის ცენტრი „ისკრა-226“ მიკროელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ბაზაზე. სასკოლო პრაქტიკაში ინერგება ავტომატიზებულ საკონტროლო-სასწავლო კურსები. რესპუბლიკის 52 გამოთვლითს ცენტრში ეწყობა მოსწავლეთა მეცადინეობა ახალ საგანში „გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამირების საფუძვლები“. მიკროპროცესორული ტექნიკა ეფექტიანად გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებებში...

მომავალ ხუთწლედში გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზებული სისტემების შექმნის, წარმოების განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების გეგმები განსაზღვრა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის. ინსტიტუტებთა აკადემიის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ერთობლივად შექმნილია რესპუბლიკურმა პროგრამამ. იგი ითვალისწინებს მიკროპროცესორული ტექნიკის ბაზაზე მოწყობილობის, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციას, მეთორმეტე ხუთწლედში ავტომატიზებული საწარმოო სისტემების შექმნასა და წამყვან საწარმოებში რობოტტექნიკური კომპლექსების დანერგვას.

სამეფენო და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში პერსონალური კომპიუტერების როლს, მახასიათებლებსა ადამიანის დიალოგის დროს წამოჭრილ ფსიქოლოგიურ პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეიტე-პრეზიდენტმა ი. ფრანგიშვილმა.

როგორც სტატისტიკა მოწმობს, რომლის მონაცემებსაც გაეცნენ სემინარის მონაწილეები, პერსონალური კომპიუტერების გამოყენება მარტო დაწესებულებების საქმიანობაში შრომის ნაყოფიერების 1,5-2-ჯერ გადიდების გარანტიას იძლევა. ისინი ხელს შეუწყობენ პრაქტიკულად უპირველდო საქმის წარმოების მოგვარებას იმის მეოხებით, რომ მანქანა არის ელექტრონული ფოსტა და ინფორმაციული უბის წიგნაკი ერთდროულად, სამეგზო არქივარიუსი და რედაქტორი, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება კომპიუტერები მრეწველობაში, აწარმოებენ ეკონომიკურ-ანგარიშებს, ეფექტიანი ხდება ინფორმაციულ-გამომთვლელი მანქანების მუშაობისათვის, შეიმუშავებულია და დანერგილია გამოთვლითი ტექნიკის ახალი საშუალებები სწრაფი მომზადების სისტემა.

ავტომატიზებული პროექტირების სისტემის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს მართვის პრობლემების ინსტიტუტის პროფესორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. დევიატკოვმა.

რესპუბლიკაში მიკროპროცესორული ტექნიკის საშუალებების, პერსონალური კომპიუტერების გამოყენების მეცნიერებაზე ოლაპარაკა სსრ სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლ. ფ. ბოგდანოვა.

ეს ერთი სიტყვა დღდამიწისახელია ახლა, გვამხნევებს მისი სიდიადე, მხარგაზლილობა... მის გაფლერებას, მის შინაარის იმედი ახლავს, ეს ერთი სიტყვა, მეგობრებო, გახლავთ — მშვიდობა!

პლანეტა ჩვენი შეელას ითხოვს, — სასწრაფო შეელას, უნდა შეიწყოს კაცი კაცს და ხალხი — ხალხს ძმურად! მე სალამს ვუთვლი ყველას, ყველას, ყველგან და ყველას, ვინც მშვიდობისთვის სიცოცხლეს ომობს ან ოფლში ცურავს!..

არა სიმშვიდე, უურზე ძილი, ჩრდილში განცხრომა, — სიფხიზლე: ჰეი, შენი, მისი, სხვათა და სხვათა!.. მშვიდობა მოაკეს არა ლოცვას, არა მაცხოვარს, არამედ შრომას, ბიმნს შრომისას, — ნადღა და მართალს!

ჩაკრეს უაზროდ გაჩაღებულ ხანძართ გურგური, გამეფდეს ქვეყნად გულმართლობა და ხულდდობა; ვარსკვლავეთამდე ააღწია ხალხთა გუგუნმა: — მშვიდობა!

— მშვიდობა!

— მშვიდობა!

გივი ძნელაძე

სამშვიდოგო

„ცა“, „ჭალქტიკა“, „ოიწა“, „ცეცხლი“, „ეუალი“, „ოიოცხლ“, — უზარმაზარი სიტყვებია, — ყოველი ერთეული. მაგრამ არსებობს ერთი სიტყვა, ურომლისოდაც არ გაგონილა აღსრულება კაცთა ოცნებისა!..

ეს ერთი სიტყვა დედამიწისახელია ახლა, გვამხნევებს მისი სიდიადე, მხარგაზლილობა... მის გაფლერებას, მის შინაარის იმედი ახლავს, ეს ერთი სიტყვა, მეგობრებო, გახლავთ — მშვიდობა!

ბ. ბ. ...

აპოლეგეტიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია

აპოლეგეტიკა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის აქტუალურ პრობლემათა დამუშავებაში ახალი ეტაპი უწოდეს „საეთაალსტებმა მონოგრაფიას „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხეთი)“, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა. წიგნის ავტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ვ. ხაზარაძე. შრომა აგვირგვინებს უძველესი ქართული ტომის მოსხების — მესხების ისტორიის დარგში მეცნიერის მრავალი წლის გამოკვლევებს. წიგნი ანსებითად აფართოებს წყაროთმცოდნეობის ბაზას კავკასიისა და წინა აზიის ძველი ისტორიის დარგში შემდგომი კვლევისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ნ. ვ. ხაზარაძეს მიანიჭა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის პრემია. ეს სპატიო ჯილდო მეცნიერებს ენიჭებათ სამ წელიწადში ერთხელ ისტორიის, არქეოლოგიისა, და ეთნოგრაფიის მესწავლეობა მიღწევებისათვის.

ნ. ვ. ხაზარაძე ავტორია აღმოსავლეთმცოდნეობისა და კავკასიამცოდნეობის პრობლემებზე ორმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და ორი მონოგრაფიისა, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

(საქინფორმი).

ბ. ...

კომუნისტების, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრში

პარტიის საყრილობო დოკუმენტები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები საქართველოს კომუნისტების, ყველა შრომელის ყურადღების ცენტრშია. ამ დღეებში მიმდინარეობს რესპუბლიკის სამეფწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების კოლექტივთა ხალხმრავალი კრებები, რომელთა მონაწილენი ღრმა დაინტერესებით სწავლობენ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლებთანაც პარტია ეგებება თავის XXVII ყრილობას. ამ დოკუმენტების არსის ჩაწვდომაში, შრომითი კოლექტივების წარმოდგენილი კოლეგიტიური ფიქრებიდან, რომელიც თბილისში მოეწყო. სემინარზე განხილულ პარტიის საყრილობო დოკუმენტებში შესწავლასთან, განმარტებასა და პროპაგანდასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი. საგნობრივი სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფთ ამ დოკუმენტების საფუძვლიანი შესწავლა და ეფექტიანი გაგება, მათ გამართეს აგრეთვე უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭუთაისის საავტომობილო და ლითონფონის ქარხნების, თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მოინისა“ და მისი ქარხნის, მთელ რიგ სხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პარტიულ-სამეურნეო აქტივთან შეხვედრებზე, სამხედრო ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ლექციები, მოხსენებები, საუბრები, რომლებიც გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო-პროპაგანდისტული ჯგუფის წევრებმა, ყველგან ცოცხლად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. მათ მიერ გამოთქმულმა მოთხოვნებმა რეკომენდაციებმა და კონკრეტულმა წინადადებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ადგილებზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა ყოველმხრივ შესწავლისა და აქტიური განხილვის საქმიანი მიმართულება სკკპ XXVII ყრილობის წინ. (საქინფორმი).

ბ. ...

ელექტროენერგიის განაკვეთებისათვის პასუხი უნდა აგონ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ელექტრომომხმარებლის დისციპლინის დარღვევათა საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წელს მნიშვნელოვანი შეუმობა გასწიეს ენერგომომხმარების დისციპლინის შემდგომ გამტკიცებისთვის. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონს, საწარმოსა და ორგანიზაციას ერთდროულად გამოეყო ელექტროენერგიის ხარჯვის ლიმიტები. გაუეული ორგანიზატორული მუშაობის შედეგად მათი უმრავლესობა იცავს სალიმიტო დისციპლინას.

მაგრამ აღინიშნულია დადგენილებაში, რესპუბლიკაში კვლავ არის ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. მაგალითად ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოს, „სამშობიარენერგოს“, ქალაქ სოხუმის, ტყვარჩელის, გაგრის, ასპინძის, ახალქალაქის, ჯავის, ონამჩირის, სოხუმის რაიონების შესაბამისი სამსახურების არასაკმარ ეფექტური მუშაობის გამო გადახარჯეს 14 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. ეს შეადგენს მთელი თბილისის ორი დღე-ღამის მოთხოვნილებას, ანუ ელექტროენერგიის ისეთი დიდი მოცულობის სამი დღე-ღამის ნორმას, როგორიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა.

უხეშად არღვევენ სალიმიტო დისციპლინას რუსთავის ცემენტის ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“, ფოთის წესქალაქარხანა.

„საქმთავარენერგოს“ ენერგოზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურები, ნათქვამია დადგენილებაში, სრულად ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებს ელექტროენერგიის მომხმარებელთა მიმართ, რომლებიც არღვევენ სალიმიტო დისციპლინას. მაგალითად, წელს მათ არც ერთხელ არ გამოუყენებიათ მათთვის მინაკუთვნები უფლება — მთლიანად ან ნაწილობრივ გამოეთიშათ დენი მომხმარებლისათვის, რომლებიც არარაციონალურად ხარჯავენ ელექტროენერგიას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო სალიმიტო დისციპლინის დაცვისათვის პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობა: სოხუმის (გ. კ. ნაჭუფია), ტყვარჩელის (დ. გ. ფილია), გაგრის (ე. ე. კაპმა), ასპინძის (გ. ი. პატიაშვილი), ახალქალაქის (ს. ბ. სტეფანიანი), ბოგდანოვკის (ვ. ა. კოჩოიანი), ბორჯომის (ტ. პ. პეტრიაშვილი), ონონონფშის (რ. ვ. ქვაწყალიანი), ჯავის (ა. ა. ყანჩაველი), ონამჩირის (ს. ვ. ბაღაფში), სოხუმის (ვ. ი. კადენეკი). სკკპ წევრებს, რუსთავის ცემენტის ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“, ფოთის წესქალაქარხნის, საწარმოო გაერთიანება „ახალციხის“, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელებს — დ. ა. თათარაშვილს, თ. ვ. მთასკრანაძეს, ა. გ. ხორავას, გ. ტ. გოგოლაშვილს, ტ. ლ. გენძეხადეს, გ. ვ. ტაბაკაშვილს, ა. ა. ჩიჩიანაძეს მიეცათ აკაცრი გაფრთხილება, თუ საწარმოებში, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, აკლავდა დარღვევენ ელექტროენერგიის მოხმარების დისციპლინას, მათ, როგორც ხელმძღვანელებს, მკაცრი პარტიული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

სკკპ წევრს, „საქმთავარენერგოს“ უფროსს ი. ე. ჭედიას ცენტრალური კომიტეტის მიუთანხმოებოვა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საქმეთა გაუმჯობესებულ ენერგოზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურებისა და ქსელის საწარმოების ურთიერთმოქმედება სალიმიტო დისციპლინის დაცვის, ტექნიკური დონის ამაღლების, ელექტრომეურნეობის საიმედოობის უზრუნველყოფისათვის, ეფექტიანად გამოიყენოს მინიჭებული უფლებანი იმ მომხმარებლთა მიმართ, რომლებიც გადახარჯავენ ელექტროენერგიას, ენერგოსისტემადანაც კი გამოროთის ისინი. (საქინფორმი).

ბ. ...

შრომითს აქტიურობაზე დაყრდნობით

ბუშაობენ რა დეიზით „მეთერთმეტე ხუთწლედს დამკვიდრეული ფინანი, მეთორმეტეს ყარი საფუძველი“, 230-ზე მეტი საწარმოს, 3700 საამქროს კოლექტივებმა, უბნებმა და ბრიგადებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის დავალებანი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების პროექტების განხილვის დროს მათმა მშრომელებმა, რომლებმაც გამოძახებენ წარმოების ადიდების ნინაგანი რეზერვები, იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი და მიიღეს შემხვედრი გეგმები. რესპუბლიკაში გადაწყვიტეს 1986 წელს დაგალება გადაჭარბებით გამოუშვან და გასალიონ 50 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. მთლიანად კი მომავალი ხუთწლეულისათვის — 200 მილიონ მანეთისაზე მეტი.

ეს იოქმა რესპუბლიკის პროფკავშირული აქტივის კრებაზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებენ შრომითს კოლექტივებში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის განმარტებას.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ, ორატორებმა, აღნიშნეს რა მიღწეული წარმატებები, მოელი ყურადღება. მიაპყრეს შრომის ორგანიზაციათა, პროფკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ფორმალიზმის ფაქტები, ბევრ საწარმოში არ არის მოგვარებული ბინის შედეგების შეჯამება, გამარკვევულია მატერიალური და მორალური წახალისება, არ არის უზრუნველყოფილი შრომითი მეტოქეობის საჯაროობა, ბევრ შედეგების შედარებითობა, უკეთესი მიღწევების გამეფორების შესაძლებლობა.

ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილისას შრომითი კოლექტივების ყურადღება ეკუნტრნა, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების, ეკონომის რეჟიმის დაცვის, ყველა უბანზე წესრიგისა და დისციპლინის გამტკიცების საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები. ხუთწლედის განმავლობაში სამუშაო დროის დანაკარგები რესპუბლიკაში შემცირდა, თუმცა ისინი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს — მარტო მრეწველობაში ყოველწლიურად ეკარგება დაახლოებით ასი თასამბორი კაცდღე, რაც უტოლდება დაახლოებით 60 მილიონი მანეთის პროდუქციის დანაკარგებს.

ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვას წინ უსწრებდა ანგარიშგება-არჩევები პროფკავშირულ ორგანიზაციებში, სადაც მრომელებმა წამოაყენეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება, რომლებიც ეხება საქმის ვითარების გაუმჯობესებას წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში. ამ წინადადებებს ახლა აანალიზებენ პროფკავშირული ორგანოები და საქალაქო მუშაკებთან ერთად ამუშავებენ მათი რეალიზაციის კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ითასებენ 1986 წლის გეგმებსა და კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

კრებამ განსაზღვრა საყრილობო პარტიული დოკუმენტების განმარტებისა და პროპაგანდის, ამ მიზნით კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების პროფკავშირთა ბიბლიოთეკებისა, და წიგნიელ ეკონომიკის, ყველა პირველად პროფკავშირული ორგანიზაციის შესაძლებლობათა გამოყენების ღონისძიებანი.

აქტიური ხელმეობა გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი.

(საქინფორმი).

ბ. ...

ჟერმონი — ლიტვიდან

წარმატებით გამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ლიტვის სსრ დამსახურებული და ნომხეთის სსრ სახალხო არტისტი გ. გრიგორიანი. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ მომღერლმა შეასრულა ფერმონის პარტია. ვიოლეტას როლში გამოდიოდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია.

სურათზე: ოპერა „ტრავიატას“ სცენა; ჟერმონი — გ. გრიგორიანი, ვიოლეტა — ლ. ჭყონია.

. ვ. პეტროსიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი)

სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა — ასეთია თემა იურისტ ლექტორთა საკავშირო სემინარისა, რომელიც 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. სემინარი მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელგადაება „ცოდნისა“ და საქართველოს სსრ სახელგადაება „ცოდნის“ გამგეობებმა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროებმა.

იურისტთა დიდი ბჭობა

სემინარი გახსნა საბჭოთა კავშირის სახელგადაება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. ფიშეფსკემ, რომელმაც მადლობა მოახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, და რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს ფდედაქალაქში საკავშირო სემინარის მოწყობის გამო.

სემინარის მონაწილეებს ჰმიესლია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. ენუქიძე. მან აღნიშნა, რომ სემინარის ფუმა, მისი მუშაობის პროგრამაში შესული საკითხების წრე, აგრეთვე მოსაწილეთა ერთობრ წარმომადგენლობითი შემადგენლობა მოწმობს მომავალი სჯა-ბაასის საარსებო საკითხებისა და აქტუალურობას. სემინარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს ამ დროს, როცა ყველგან. გაიმართა პარტიის საყრილობო დოკუმენტების მიღებული ბრძოლა — ასეთია თემა იურისტ ლექტორთა საკავშირო სემინარისა, რომელიც 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. სემინარი მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელგადაება „ცოდნისა“ და საქართველოს სსრ სახელგადაება „ცოდნის“ გამგეობებმა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროებმა.

სემინარის მონაწილეებს ჰმიესლია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. ენუქიძე. მან აღნიშნა, რომ სემინარის ფუმა, მისი მუშაობის პროგრამაში შესულ საკითხების წრე, აგრეთვე მოსაწილეთა ერთობრ წარმომადგენლობითი შემადგენლობა მოწმობს მომავალი სჯა-ბაასის საარსებო საკითხებისა და აქტუალურობას. სემინარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს ამ დროს, როცა ყველგან. გაიმართა პარტიის საყრილობო დოკუმენტების საერთო-პარტიული, საყოველთაო სახალხო განხილვა.

სემინარზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა ბ. ვ. �აკოვმა.

საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ სრულყოფასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან, ორი სოციალური სისტემის თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მრავალ ამოცანას შეეხნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე, პროფესორი ბ. ნ. ტარხანესი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორი ნ. ვ. პოდოლსკი და სხვები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი სახმოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ბ. გ. გუშბარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სახმოს პრეზიდიუმის მდივანი ი. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ ალაკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გიორგაძე, რესპუბლიკის იდეოლოგიური და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

ესპანელი კოოპერატორები საქართველოში

თბილისში სტუმრად იყო ესპანელ კოოპერატორთა ჯგუფი სამომხმარებლო კოოპერატორთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტის ფრანსისსკო სენალიოს მეთაურობით. ეს იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ წარმომადგენელთა ესპანეთში მოგზაურობის სანაცვლო ვიზიტი.

— ხიდები გადებულია, — თქვა ფ. სენალიომ, — ეს ფართო შესაძლებლობებს უქმნის ორივე ქვეყნის კოოპერატორთა ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ესპანელი სტუმრები გაეცნენ საქართველოს სამომხმარებლო ორგანიზაციის შუშაობას, დათვალიერეს მისი შიგნი ორგანი საწარმოები. მათ შესაძლებლობა მიეცათ უფრო ახლოს გასცნობოდნენ ჩვენი რესპუბლიკის კულტურას. სტუმრებმა, კერძოდ, დათვალიერეს მცხეთა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

ესპანელი კოოპერატორები ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ი. ფ. ჩერქეზიას. მან დაწვრილებით გააცხო მათ რესპუბლიკის სახელმწიფოო წყობილება, მისი სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, ისტორია და კულტურა.

სტუმრებმა აღინიშნეს, რომ ესპანეთსა და საქართველოს ბევრი რამ აქვთ საერთო და რომ ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილება მთელი რიგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მათთვის მეტად სასარგებლო იქნება. სტუმრებმა და მასპინძლებმა თქვეს, რომ ამჟამად ხელშემწყობი შესაძლებლობანია იმისათვის, რომ განმტკიცდეს კონტაქტები სსრ კავშირსა და ესპანეთს შორის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამმართველოს მმართველობის განყოფილების გამგე ლ. ი. სადუნაშვილი.

21 ნოემბრის ესპანელ კოოპერატორები თბილისიდან გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

საქართველო-უნგრეთის სიმპოზიუმი

უნგრელ სპეციალისტთა თხოვნით საქართველოში გამოცდეს ბევრი ახალი სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა.

თავიანთი კვლევის შედეგებს მედიკოსები განიხილავენ გაერთიანებულ სიმპოზიუმებზე, რომლებიც რეგულარულად ეწყობა თბილისსა და უნგრეთში. საქართველო-უნგრეთის VII სიმპოზიუმი მიეძღვნა უნგრული წარმოების პრეპარატების კლინიკურ და ექსპერიმენტულ შეფასებას.

სიმპოზიუმმა ჩაიარა კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიისა და სამკურნალწამალო საპუალებების თანამდევი მოქმედების პრობლემებზე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. (საქინფორმი).

ჭადრაკის დაფებთან

ლუციერნში გრძელდება მოკრძალაკე ვოკთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონობანი. ამ გუნდური შეჯიბრების მეხუთე ტურში სსრ კავშირის ნაკრები დამარცხდა უნგრელებთან — 2,5:3,5. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: იუგოსლავია-ჩინეთი — 4:2, გფრ-რუმინეთი — 2:4, შვეიცარია-არგენტინა — 2,5:2,5 (1 პარტია გადადებულია), ფრანკეთი ნაკრები-საფრანგეთი — 1:5. ხუთი ტურის შემდეგ საბჭოთა მოკვიდრეკეებს 20 ქულა აქვთ, უნგრელებს და ინგლისელებს — 19-19, რუმინელებს — 17,5, ფრანგებს — 16,5, ჩინელებს — 15,5 ქულა.

ეინდჰოვენში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურში ნ. გფრ-რინდაშვილმა ი. ლიტინსკაიასთან პარტია უკეთეს პოზიციაში გადადო, მეხუთეში დაუზავდა ლ. ზაიცევას, მეექვსეში კი ლ. პიარნპუუს. ნ. გურიელმა შესაბამისად ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლ. სემიონოვასთან, გიმბორჯა ვ. ბაბატოვასთან და ყაიმზე შეუთანხმდა ო. სტეპოვაილა. ეკვსი ტურის შემდეგ ნ. ლიტინსკაია 4 ქულა და 2 გადადებული პარტია ჰქონდა. ასევე 4-4 ქულა ჰქონდათ გაფრინდაშვილსა და ს. მატეევეას, ოღონდ მათ თითო პარტია აქვთ დასამთავრებელი. გურიელის აქტივშია 4 ქულა. გუშინ გადადებული პარტიები უნდა გათამაშებულიყო.

თბილისს ჭადრაკის სასახლეში გრძელდება კოტოვის მემორიალი. მეშვიდე ტურში გურევიჩმა პირველი დამარცხება აგება პეტცს, შაბანოვმა მოუყო ოფფასინს. გიორგაძემ მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ნეკვეროვთან. ყაიმზე შეთანხმდნენ რანკენენ-გუტმანენიც, ჰოი-ლანჩი. მერვე ტურში გურევიჩმა ლუბაზედ მოუგო ოფფასინს, ყაიმზე შეთანხმდნენ ნეკვეროვ-დრაკენენ, ლანჩ-რანტანენი, პეტცსონი, ფალანგ-შაბანოვი. ბურგენიძეგიორგაძის პარტია გადაიდო მატერიალურად თანაბარ დაბლოლობაში. 8 ტურის შემდეგ 5 ქულითა და 1 უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტიით წინ არის სეროთაშორისო ოსტატი გურევიჩი, 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ოსტატ შაბანოვს, 4 ქულა და 2 გადადებული პარტია — ოსტატ ნეკვეროვს, 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია — საერთაშორისო ოსტატს პეტცს.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გამოვლინდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კიდევ ერთი, ამჯერად 22-ე მონაწილეც: მექსიკის საგუნდო დაეუფლა ბელგიის ნაკრები, რომელმაც მართალია ჰოლანდიელებად განმეორებითი მატჩი წააგო (1:2), მაგრამ რაკი პირველი შეხვედრა მან მოგებული ჰქონდა (1:0), სტუმრად გატანილი ერთი ბურთის წყალობით ბელგიელებს მიეცათ უპირატესობა. დანარჩენი ორი ფინალისტის ვინაობა გაირკვევა შოტლანდიელებსა და ესპანელებს — ამ ორი ნაკრების ყველა ბურთი ბელგიელებმა ითვალეს. ესპანეთ-ალჟირიის „ბურთიანი“ ფრეგი — 0:0, შოტლანდია-პარაგვაის ბურთი „ბურთიანი“ — 2:0.

ფრანგეთში. თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება პირველი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპის მატჩები. თბილისელი „ქალრიზალამ“ პირველ სამ ტურში გამარჯვენი შეხვედრები ასეთი შედეგებით დააგროვა: ხობელისს „ეკრანი“ — 3:0, თბ